



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

<p>1931 წლის ივლისის 31.</p>	<p>№ 14 განყოფილება პირველი</p>	<p>ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.</p>
----------------------------------	-------------------------------------	--


შ ი ნ ა ბ რ ს ი:

**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

- მუხ. 164. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 36 მუხლის დამატებისა და 37, 67, 90 და 96 მუხლების შეცვლის შესახებ.
165. 1931 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო თევსის და მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაპრემირების შესახებ.
166. „სამუშე ბინათმშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალფლებებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.
167. „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ ჯადასახადთა გაერთიანების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტისა.**

168. 1931 წლის მე-II კვარტლისათვის ა/კსფსრ მოსახლეობის ფულადი რესურსების მობილიზაციის შესახებ.
169. ა/კსფსრ-ში 1931 წლის საბჭოების არჩევნების კამპანიის შედეგების შესახებ.
170. ა/კსფსრ-ში გზათა მშენებლობისა და ავტოტრანსპორტის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ (ამხანაგთა იაშვილისა და ორჯონიკიძის მოხსენება).



დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

171. 1931 წელს მუშა-ძალით შენებლობის მომარაგების ოპერატიული გეგმის შესახებ.
172. კოლექტიური მეურნეობებიდან გარე-სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციის ღონისძიებათა და სამეურნეო ორგანიზებისათვის სოფლად მუშა-ძალის მოგროვების საქმეში ხელისშეწყობის შესახებ.
173. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში 1931 წ. ქალთა ჩაბმის საკითხის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ ალსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

174. „საბამე რაიონებში სამრეწველო საქონლის შეზიდვის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.
175. ბამბის დამუშავების კამბანიის თაობაზე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოცემული 1931 წ. V/12 დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.
176. 1931 წლის მოსავლის ბამბის გადაზიდვისათვის გზებისა და ტრანსპორტის განმზადების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

164. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 36 მუხლის დამატებისა და 37, 67, 90 და 96 მუხლების შეცვლის შესახებ.

„შრომის კანონმდებლობის ზოგიერთი ცვლილების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 3-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 35 №-ი, მუხ. 257) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ: ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. 36 მუხლს დაემატოს მე-5 აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„უკეთეს წარმოებისათვის საჭიროა, ადმინისტრაციის შეუძლიან გადაიყვანოს მოპუშავე ვადით ერთ თვემდე სხვა სამუშაოზე იმავე ან იმავე ადგილის საწარმოსა თუ დაწესებულებაში. გადაყვანილს შეენარჩუნება საშუალო სამუშაო საშოვარი წინანდელი მუშაობის მიხედვით. უარისთქმა არაპატივსაღებ მიზეზით ასეთ გადაყვანაზე შრომის დისციპლინის დარღვევად ჩაითვლება“.

2. 37, 67, 90 და 96 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„37. დაქირავებულის გადაყვანა ერთი საწარმოდან მეორეში ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, თუნდაც საწარმოს თუ დაწესებულების გადატანასთან

ერთად, აგრეთვე დაქირავებულის გადაყვანა ერთი საწამოდან თუ დაწესებულებიდან მეორეში 36 მუხლის მე-5 აბზაციით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ეს წარმოებისათვის საჭიროა, ერთ თვეზე მეტი ვადით, შეიძლება მხოლოდ მუშისა თუ მოსამსახურის თანხმობით; უამისოდ შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოშალოს თვითეულმა მხარემ; ამასთანავე, დაქირავებულს ორსავე შემთხვევაში მიეცემა გამოსასვლელი დახმარება 89 მუხლის თანახმად“.

„67. სამუშაო ხელფასი გაიცემა არა სამუშაო დროს.

ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველჰყოს სამუშაო ხელფასის გაცემის ისეთი წესი, რომ თვითეულმა მომუშავემ სამუშაო ხელფასი მიიღოს დაუბრკოლებლად მუშაობის დაწყებამდე ან გათავების შემდეგ უშუალოდ“.

„90. უკეთუ შრომის ხელშეკრულება მოშლილ იქნა 36 მუხლის მე-5 აბზაციით, 47 მუხლის „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნქტებით და 49 მუხლით გათვალისწინებული მიზეზების გამო, აგრეთვე უკეთუ ხელშეკრულება მოისპო დაქირავებულის სურვილით 46 მუხლის წესისამებრ, გამოსასვლელი დახმარება არ გაიცემა“.

„96. 94 და 95 მუხლებით დაწესებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა ღამე მუშაობისათვის შემცირდება ერთი საათით.

ცვლადი მუშაობისა თუ შეუწყვეტელი მორიგეობის დროს ღამის საათებში მუშაობის ხანგრძლივობა გაეთანაბრება დღისით მუშაობის ხანგრძლივობას; ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში სასყიდელი თვითეულ საათს ღამით მუშაობისათვის გადიდდება და გაიცემა ღამის თითო საათში: დღის თითო საათის ფასის რვა მეშვიდედი (94 მუხ. პირველი ნაწილი) და ექვსი მეხუთედი (95 მუხ.)

ასეთ შემთხვევაში მუშა ნაჭრობითი მუშაობისათვის ღამის თვითეულ საათში ნაჭრობითი ხელფასის ზედმეტად მიიღებს: ის პირი, რომლის ნორმალური სამუშაო დრო რვა და შვიდი საათია, მისი კატეგორიისათვის დაწესებული საათობითი განაკვეთის ერთ მეშვიდედს, ხოლო ის პირი, რომლის ნორმალური სამუშაო დრო ექვსი საათია,—ერთ მეხუთედს.

შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ საწარმოში, ცვლადი მუშაობის დროს, თვითეულ საათში ღამის მუშაობისათვის მუშას მიეცემა დამატებით იმ კატეგორიის საათობითი განაკვეთის ერთი მეშვიდედი, რომელზედაც იგია მიწერილი (94 მუხლის მეორე ნაწილი).

შენიშვნა. ღამედ ითვლება დრო—საღამოს ათი საათიდან დღის ექვს საათამდე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. ხულთანოვი.**

1931 წ. ივლისის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 198 №-ში 1931 წ. ივლისის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

165. 1931 წლის გაზაფხულის თესვისა და მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებზე დაპრემირების შეხახვბ.

რადგანაც გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა წარმატებით იქნა შესრულებული და რათა 1931 წლის მოსავლის აღების სასოფლო-სამეურნეო კამპანია ასევე წარმატებით იქნეს ჩატარებული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. შემოღებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის პრემიის მიცემა იმ რაიონებისა, დიდრონი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის, აგრეთვე საწარმოო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის, რომელთაც თავი გამოიჩინეს 1931 წ. სასოფლო-სამეურნეო გაზაფხულის თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის შესრულების საქმეში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული პრემიების ორგანიზაციისა და გაცემისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრემიადიუმთან მოეწყოს პრემიალური კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი სულთანოვი (თავმჯდოვ მარე), ვეზიროვი, ავისი, გურუქოვი და ცეხაძე.

3. პრემიალური კომისიის განკარგულებაში გამოიყოფა სახსარი ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან 1930 წ. შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისათვის არსებული დაპრემირების ფონდიდან.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის პრემიები გაიცემა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრემიადიუმების წარდგენისამებრ.

5. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრემიებად ითვლება:

ა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელობის გარდამავალი დროშა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლება ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე შელავათების მიცემა;

გ) შელავათიანი დაკრედიტება;

დ) რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები;

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები შეადგენენ დასაპრემირებელი რაიონებისა, დიდრონი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საწარმოო კოოპერატიული ამხანაგობების სიებს პრემიების სახის აღნიშვნით. ხოლო რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით დაპრემი-

რებისათვის—ამ მანქანების ზედმიწევნითი დასახელებით და ღირებულების განსაზღვრით; ეს მანქანები გაიცემა ა/კფსრ-ში 1930-31 წ. შემოზიდული კონტინგენტიდან.

აღნიშნული სიები, დაწერილებითი განმარტებითი წერილებით და მასალებითურთ, რაც უნდა აშუქებდეს 1931 წლის გაზაფხულის თესვის და მოსავლის აღების სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობას და შედეგებს, გაიგზავნება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებულ პრეზიალურ კომისიაში განსახილველად და პრემიების გასაცემად.

7. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შედგენლობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) იხმარონ ღონისძიებანი, რათა მოსახლეობას ფართოდ ეუწყოს ბექდვი-თი სიტყვისა, რადიოს და სხვა საშუალებით—ვინ გამოიჩინა თავი გაზაფხულის თესვისა და მოსავლის აღების სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისა და სასწრაფოდ განხორციელების საქმეში;

ბ) იხმარონ ღონისძიებანი, რათა პერიოდული პრესსა, განსაკუთრებით საგლეხო, და აგრეთვე კედლის გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობას და დასაპრემირებლად წარსადგენი ორგანიზაციების შეშაობას და აწარმოებდნენ უღმობელ ბრძოლას ცრუ დამკერელობის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანაძე.

1931 წ. ივლისის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 204 №-ში 1931 წ. ივლისის 27-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

166. „სამუშე ბინათმშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების წესის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

„სამუშე ბინათმშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული ადგილობრივი კაპიტალების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 146) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილებაში „სამუშე ბინათმშენებლობის დაკრედიტებისათვის არსებული სპეციალური კაპიტალებისა და ფონდების გამოყენების გეგმების შედგენისა, დამტკიცებისა და აღსრულების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 მე-14 №-ი, მუხ. 118) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება.

I. 1-ლი მუხლის „გ“ ლიტერა მიღებულ იქნეს შემდეგი რადაქციით:

„გ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სპეციალური კაპიტალები“.

II. მე-2 მუხლის „ბ“ ლიტერის მე-2 და 3 პუნქტებში სიტყვები „ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის“ შეიცვალოს საიტყვებად „ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის“

III. მე-4 მუხლის „გ“ ლიტერა მიღებულ იქნეს შემდეგი რადაქციით:

„გ) საქალაქო საბჭოების და სამუშე, საკურორტო და სააგარაკო დაბების საბჭოების მიერ საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალებიდან გადადებული ანარიცხებისაგან 10%-ის რაოდენობით“.

IV. მე-4 მუხლს დაემატოს „ე“ და „ვ“ ლიტერები შემდეგი შინაარსისა:

„ე) კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე მდებარეთა გამოკლებით და სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა გარდა) მუშების და მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან სამუშე ბინათმშენებლობისათვის გადადებულ ანარიცხებისაგან; აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ანარიცხებისაგან;

„ვ) სხვა იმ წყაროების შემოსავლისაგან, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილებაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით და სათანადო საბჭოების დადგენილებებით.“

V. მე-4 მუხლის „ბ“ ლიტერის მე-2 და 3 პუნქტებში სიტყვები „ავტრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ შემავალ სათანადო რესპუბლიკაში) სამმართველოს“ შეცვალოს სიტყვებად „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების“.

VI. მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„7. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სპეციალური კაპიტალგები სამუშე ბინათმშენებლობის დაკრედიტებისათვის შეიქმნება ამ რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან. ეს კაპიტალები შესდგება:

ა) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტებით გადაღებული ასიგნებისაგან;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზე მდებარე, კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მოქმედ, ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთა (სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა გამოკლებით) მუშების და მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან სამუშე ბინათმშენებლობისთვის გადაღებული ანარიცხებისაგან; აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიის გარეშე მყოფი, ადგილობრივი მნიშვნელობის სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების ანარიცხებისაგან;

გ) საქალაქო საბჭოების და სამუშე, საკურორტო და საავარაკო დაბების საბჭოების მიერ საბინაო ფონდის სპეციალურ კაპიტალებიდან გადაღებული ანარიცხებისაგან 10%-ის რაოდენობით;

დ) სხვა იმ წყაროების შემოსავლისაგან, რაც შეიძლება დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების კანონმდებლობით“.

VII. მე-7 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

VIII. მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალებიდან (მუხ. 11) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სპეციალურ კაპიტალებში და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სპეციალურ კაპიტალებში გადასადები ანარიცხები შეიტანება კომუნალურ ბანკებში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დადგენილ ვადაზე“.

IX. მე-9 და 10 მუხლებში სიტყვები „ადგილობრივი სპეციალური კაპიტალები“ შეიცვალოს სიტყვებად „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სპეციალური კაპიტალები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. იულისის 21.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

167. „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილებების მე-5 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მე-5 მუხ. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 24-ის დადგენილებისა „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ შენობათაგან ადგილობრივ ბიუჯეტში შესასვლელ გადასახადთა გაერთიანების შესახებ“ (ა/კსუსრ კან. კრ. 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 140) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. საიჯარო ქირა ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებული, არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობისა, რაც დაქვრილია კანცელარიისა და სხვა საქიროებისათვის (სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების გამოკლებით), გამოიანგარიშება მტკიცე განაკვეთად ფართობის ერთეულზე; ამასთანავე, საიჯარო ქირა უნდა შეიცავდეს საამორტიზაციო ანარიცხს სადგომის ღირებულების $1\frac{1}{2}\%$ -დან $1\frac{1}{2}\%$ -დე, სადგომის მდგომარეობის მიხედვით, და დახარჯული კაპიტალის პროცენტს 3-დან 5-დე.

საიჯარო ქირა სხვადასხვა უნდა იყოს დამჭირავებლის კატეგორიის კვალობაზე, ხოლო იმ პირობით, რომ ამა თუ იმ ქალაქ-ადგილისათვის საშუალო ქირა შენობის ღირებულების 5% -ზე ნაკლები არ იქნეს.

საიჯარო ქირის სანიმუშო განაკვეთებს და ღირებულებების დამჭირავებელთა კატეგორიების კვალობაზე დააწესებენ ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოთა წარდგენისამებრ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ:

ა) შეუთანხმონ ორი დეკადის ვადაზე თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას;

ბ) შეიმუშაონ ერთი თვის ვადაზე კანცელარიებისა და სხვა საჭიროებისათვის დაჭერილი სადგომების საიჯარო ქირის სანიმუშო განაკვეთები და დიფერენციაცია დამჭირავებელთა კატეგორიების კვალობაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ივლისის 29.

ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

168. 1931 წლის მე-II კვარტალისათვის ა/კსფსრ მოსახლეობის ფულადი რესურსების მობილიზაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. 1931 წლის მე-II კვარტალისათვის ა/კსფსრ-ში ფულადი სახსარის მობილიზაციის გეგმის შესრულების შედეგები, რაც 51.833.000 მან უდრის, მაშინ, როდესაც დაელოებული იყო 67.059.000 მან. მობილიზაცია, ე. ი. 77%-ის რაოდენობას, არა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

2. აღინიშნოს, რომ გეგმის ბოლომდე შეუსრულებლობა უნდა ჩაეთვალოს მთლად აზერბაიჯანის სსრ-ას, რომელზედაც მოდის ა/კსფსრ მთელი საკვარტალო გეგმის ნახევარზე მეტი (37.878.000 მან.) და სადაც შესრულებულია გეგმის მხოლოდ 59,3%-ით, ამავე დროს სომხეთის სსრ-ში საკვარტალო გეგმა შესრულებულია 106,4%-ით, ხოლო საქართველოს სსრ-ში 100,7%-ით.

3. ცალკე აღინიშნოს, რომ აზ. სსრ-ში სამობილიზაციო რესურსების გეგმის ბოლომდე შეუსრულებლობის მიზეზია მუშაობის სუსტად ჩატარება ქალ. ბაქო-ში სადაც თავმოყრილია შემოსასვლელი თანხების ძირითადი წყაროები.

4. გადაამწყვეტი გარდატეხის მოსახდენად აზერბაიჯანის სსრ-სა და ქალ. ბაქოში სამობილიზაციო რესურსების გეგმის შესრულებისათვის წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს:

ა) გააძლიეროს აზერბაიჯანის სსრ მშრომელთა შორის მასშური მუშაობა ფულადი რესურსების მობილიზაციის გეგმის თავის დროზე შესრულების პოლი-

ტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის განმარტებისათვის, რომელი გეგმაც ერთი ძირითადი ნაწილთაგანია ერთიანი საფინანსო გეგმისა; ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმულნი კომკავშირული, პროფკავშირული და საკომეურნეო მისსები და გამოყენებული უნდა იქნეს პრესა, განსაკუთრებით სარაიონო, საქარხნო-საფაბრიკო და კვლეის გაზეთები;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი საფინანსო აპარატის მუშაობის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით რაიონში და სოფლად; ამასთანავე ულმობელი ბრძოლა უნდა ვაეწიოს სახსართა მობილზაციის მნიშვნელობის არა სათანადო შეფასებას, საქმას თვითდენაზე მინებრებას და კლასობრივ მტრულ ძალთა (კულაკები, ქალაქისა და სოფლის ნეპმანურ-ბურჟუაზიული ელემენტები) ცდას—ჩაშაღონ გეგმის აღსრულება; აპარატის მუშაობა გაუმჯობესებულ უნდა იქნეს მასში კვალიფიციური და კლასობრივ მტკიცე მომუშავეების ჩაბმით და საფინანსო კადრების მომზადების გაძლიერებით;

განსაკუთრებულად ყურადღება უნდა მიექცეს შემნახველი საღაროების აპარატის გაუმჯობესებას რაიონში და სოფლად;

გ) უზრუნველჰყოს საფინანსო გეგმის აღსრულებისა და საფინანსო დისციპლინის განხორციელების თაობაზე გაცემული მთავრობის დირექტივების შესრულების ადგილობრივი სისტემატიური შემოწმება და აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა იმ აშკარა არა-სწორი მიმართულების წინააღმდეგ, ვითომც სახსართა მობილზაცია აბრკოლებდეს სხვა კამპანიების ჩატარებას;

დ) უზრუნველჰყოს აქტიუზაცია და მუშაობის გაუმჯობესება სახელმწიფო კრედიტისა და შემნახველი საღაროების ხელისშემწყობი ცენტრალური, ადგილობრივი და, განსაკუთრებით, ქვედა პირველადი კომისიებისა და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოებისა—მოსახლეობის სახსართა მობილზაციისათვის მასსური მუშაობის გაძლიერებით და ხელისშემწყობ კომისიებში საუკეთესო დამკვერელებისა, მუშებისა, კოლმეურნეებისა და სოფლის ღარიბთა და საშუალოთა აქტივის ჩაბმით, თანაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების და დამკვერეობისა, შენახველრი გეგმისა, საზოგადოებრივი ბუქსირის მეთოდები და სხვ.;

ე) გააუმჯობესოს სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობა, ყოველმხრივ გააძლიეროს მათ სამეურნეო საწარმოთა შემოსავალი; ხელი შეუწყოს გადასახადთა და სხვა გამოსაღებთა შეკრფას და ამით ვანამტიციოს სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები; იხმაროს ღონისძიება, რათა სასოფლო საბჭოები გადაიქცნენ სასოფლო ბიუჯეტის ნამდვილ ბატონ-პატრონად და ყველა იმ ამოცანის პასუხისმგებელ აღმასრულებლად, რაც სოფლად ერთიანი საფინანსო გეგმის შესრულებას ეხება.

5. აღინიშნოს, რომ თუმცა საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის სსრ-ში სახსართა მობილზაციის გეგმა საერთოდ შესრულებულია, მაგრამ მაინც ამა თუ იმ სახის ცალკეული გადასახდელი და გამოსაღები სრულად არ არის აკრეფილი და ცალკეულ რაიონებში სახსართა მობილზაციის გეგმა მთლად არ არის შესრულებული; ამის გამო წინადადება მიექცეს საქართველოს სსრ-ისა და სომხეთის

სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს მისცენ დირექტივები სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) მიაქციონ ყურადღება სამოპილიზაციო, რესურსების ყოველგვარი გადასახდელის გეგმების საფუძველზე შესრულებას;

ბ) გასულ მეორე კვარტალში აუკრეფავი ყველა გადასახდელი შეჰკრიფონ ა/წ. აგვისტოს 15-თვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ვ. სულთანოვი.

1931 წ. ივლისის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 204 №-ში 1931 წ. ივლისის 27-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

169. ა/კსფსრ-ში 1931 წლის საბჭოების არჩევნების კამპანიის შედეგების შესახებ.

მოისმინა-რა მოხსენება ა/კსფსრ-ში 1931 წლის საბჭოების არჩევნების კამპანიის შედეგების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს:

1. ა/კსფსრ-ში 1931 წელს საბჭოების არჩევნები სწარმოებდა მთელი ფრონტით სოციალიზმის შეტევის ვითარებაში და კულაკობის, როგორც კლასის, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ლიკვიდაციის პირობებში, რამაც გამოიწვია სოფლად ეკონომიური ურთიერთობის ძირითადი ცვლილება.

პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის გამირულმა ძალთა დაძაგვრამ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრებისათვის—პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე—გამოიწვია სოფლისა და ქალაქის კულაკური და ბურჟუაზიულ-„ნეპმანური“ ელემენტების გამძვინვარებელი წინააღმდეგობა. კულაკობა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტები, აწარმოებდნენ-რა ბრძოლას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, ცდილობდნენ პირველყოფისა გაეღვნა მოეხდინათ ამომრჩეველთა ზოგიერთ ფენებზე, განსაკუთრებით ქალ-ამომრჩეველთა უფრო ჩამორჩენილ ნაწილზე, და ამით გაეღვნა მოეხდინათ ისეთი უაღრესი მნიშვნელობის პოლიტიკური კამპანიის შედეგზე,

როგორც საბჭოების არჩევნები. მაგრამ კულაკური და ბურჟუაზიულ-„ნებმა-
ნური“ ელემენტების ცდას მედგრად წინააღმდეგენ მუშები, კოლმეურნეები და
მშრომელი გლეხობის ფართო მასები, რომელთაც ამხილეს ამ ელემენტების
მოქმედება და არა მარტო ჩამოაშორეს კამპანიაში მონაწილეობას, არამედ აგ-
რეთვე მოუსპეს ყოველგვარი საშუალება გაეღვნა მოეხდინათ კამპანიის მსულ-
ლობაზე. ამრიგად, 1931 წ. საბჭოების საარჩევნო კამპანიამ ნათელჰყო ქალა-
ქისა და სოფლის მშრომელთა პოლიტიკური აქტიობის დიდი ზრდა, რაც პირ-
დაპირი შედეგია პარტიის გენერალური ხაზის გატარებისა. კერძოდ, ამ კამპა-
ნიამ საუკეთესოდ ცხადჰყო პროლეტარიატის მძღვანებელი როლი მშრომელი
გლეხობის მიმართ. ამ მხრით თვალსაჩინო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა,
ბუქსირის სახით, სოფლად მუშათა ცენტრებიდან მუშათა ბრიგადების წარგზავ-
ნის პრაქტიკას და ამ ბრიგადების მიერ საავტოცეო მიზნით გარემო სოფლე-
ბის დავლას; ამ პრაქტიკამ შექმნა ახალი ფორმა პროლეტარიატის ხელ-
მძღვანელი როლის განხორციელებისა მშრომელი გლეხობის მასებში.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ნებისყოფა, რაც არჩევნებში გამოი-
ხატა, მიმართულ იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელისშესაწყობად, სიძნე-
ლეთა დასაძლევად და მშვიდობიანობის პოლიტიკის მოთხოვნილებათა განსა-
ხორციელებლად, ხოლო ამავე დროს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის
განსამტკიცებლად.

2. საანგარიშო და საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა სხვადასხვა გადახ-
რებათა ბრძოლის ნიშნით: მემარჯვენე ოპორტუნიზმისა, როგორც დღევანდელი
ეტაპის მთავარი საფრთხისა, „მემარცხენე“ გადახვევის და აგრეთვე მათთან
შემრიგებლობის წინააღმდეგ. ორ ფრონტზე ბრძოლა კონკრეტულად გამოი-
ხატა იმ მოთხოვნაში, რომ საბჭოების მუშაობა ძირითადად ყოფილიყო გარდა-
ქმნილი, რადგანაც საბჭოები გამტარებელნი არიან პარტიის გენერალური ხა-
ზისა, და რომ საბჭოებს გადაჭრით პირი ებრუნათ წარმოებისა და კოლექტიური
მეურნეობისაკენ.

საბჭოთა საარჩევნო და საანგარიშო კამპანიამ უფრო აღამაღლა მასების
კლასობრივი ბრძოლის უნარი და უზრუნველჰყო ათასობით ახალ მშრომელთა
ჩაბმა სახელმწიფოს უშუალო მმართველობაში—სექციების მუშაობისა და სო-
ციალისტური შეთავსების გაშლით და ფაბრიკების და ქარხნების შეფობის გა-
წვეით სახელმწიფო აპარატისათვის. საბჭოთა საარჩევნო კამპანია ახალ ამამოძ-
რავებელ ძალად იქცა კოლექტიურ მეურნეობათა შემდგომი განვითარებისა,
არსებული განმტკიცებისა და ახლთა მოწყობისათვის,

კოლექტიური მეურნეობანი, როგორც სოციალისტური მოწინავე რაზმი
სოფლად, ასრულებდნენ მძღვანებელ როლს საარჩევნო კამპანიაში, რაზმავდნენ
ორგანიზაციულად, პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, მშრომელი
გლეხობის მასებს მკვეთრი შეტევისათვის კაპიტალისტური და ანტისაბჭოთა
ელემენტების წინააღმდეგ.

3. იმისდამიუხედავად, რომ ზოგიერთ ადგილას თავი იჩინა მთავრობის
დირექტივების გამრუდებამ (არასათანადო შეფასება საშუალო ინდივიდუალური
გლეხთა შორის მუშაობის მნიშვნელობისა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ

წარმომადგენლებს საარჩევნო კომისიებში ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული), მაინც რაიონების უმეტეს ნაწილში ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა სისწორით შეაფასეს საშუალო გლახთა მნიშვნელობა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში და მრავლობითი მიზიდვის ისინი და ინდივიდუალური ღარიბი გლახობა კოლექტიურ მეურნეთა და ღარიბთა კრებებზე და ჩააბეს საბჭოების მუშაობაში. ამის გამო, იმისდამიუხედავად, რომ კულაკური ელემენტები ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ საშუალო გლახობა საბჭოებისათვის, ამ გლახობის ძირითადი მასა მაინც კოლმეურნეებთან და ღარიბ გლახებთან ერთად იყვნენ, შეგნებულნი ჰქონდათ-რა, რომ საჭიროა გამაგრებულ იქნეს კავშირი ღარიბ გლახობასთან სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში კოლექტივიზაციის საფუძველზე.

4. მასების პოლიტიკური აქტიობის ზრდის მაჩვენებელია როგორც საანგარიშო, ისე საარჩევნო კრებებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა პროცენტი. ამ პროცენტმა ა/კსდსრ-ში საშუალოდ მიაღწია ამომრჩეველთა ცალკეულ ჯგუფებს შორის: კოლმეურნეთა შორის 77-დგ; სასოფლო-სამეურნეო მუშათა შორის — 82-დგ, ღარიბთა შორის — 72-დგ.

განვიხილოთ კამპანიის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე აქტიობის გადიდება ამომრჩეველ-ქალთა შორის, რომელთა მონაწილეობაც არჩევნებში ა/კსდსრ ტერიტორიაზე გაიზარდა საშუალოდ 60%-დგ.

ამასთან ერთად ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ, ქალთა კადრების საკითხისადმი მემარჯვენი ოპორტუნისტული განწყობილობის გამო, აღნიშნული აქტიობა ადგილებზე სათანადოდ გამოყენებულ და განმტკიცებულ არ იქნა. ეს გარემოება, კერძოდ, მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ სასოფლო-საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეულთა შორის ქალთა პროცენტმა იკლო.

5. ხელისუფლების ახლად არჩეული ორგანოების შედგენილობა გვიჩვენებს, რომ ამ ორგანოებში მუშათა, კოლმეურნეთა და ღარიბთა ხელმძღვანელი როლი განმტკიცებულია. კერძოდ, თვალსაჩინოდ გაიზარდა საქალაქო საბჭოებში მუშების პროცენტი.

გაიზარდა აგრეთვე კომუნისტური პარტიის წევრების რიცხვი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შედგენილობაში.

ამასთან ერთად საყურადღებოა აგრეთვე, რომ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა შორის წერაკითხვის არამცოდნეთა პროცენტმა იკლო.

ცნობები იმის შესახებ, თუ რა პროცენტს შეადგენენ უფლებამოსიერულნი მოსახლეობის საერთო რიცხვში, აგრეთვე გვიჩვენებს, რომ წარსულში ზოგიერთ ადგილას შემჩნეული ხაზის გამრუდება საშუალო გლახთა მიმართ მიმდინარე კამპანიაში გამოსწორებულ იქნა.

აღნიშნავს-რა ზემოდ ჩამოთვლილ პოლიტიკურ და საორგანიზაციო წარმატებათ, როგორც საარჩევნო კამპანიის შედეგს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ამასთან ერთად, აქცევს ყურადღებას საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების საორგანიზაციო მუშაობის შემდეგ ნაკლოვანებას და ცალკეულ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ხაზის დამახინჯებას:

1) ზოგიერთ ადგილას სათანადოდ შეფასებულ არ იქნა საბჭოთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, როგორც უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია, რაც დაკავშირებულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაძლიერებასთან; სუსტად იყო გაშლილი სამომზადებლო საარჩევნო მუშაობა (ინსტრუქციის განმარტება, კოლმეურნეთა, ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა, ვადების დარღვევა და სხვ.); მოგვარებული არ იყო ზემდგომი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება კამპანიის მსვლელობის შესახებ.

2) საარჩევნო კამპანიის შედეგმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ ადგილობრივ საბჭოს ჯერ კიდევ საკმარისად არ შეუგნია პარტიისა და მთავრობის ღირებულებები მუშაობის თაობაზე კოლმეურნეებთან, როგორც მთავარ დასაყრდნობ ელემენტებთან სოფლად, ღარიბ გლეხობასთან და მოჯამაგირეებთან. ზოგიერთ ადგილას კოლმეურნეთა, ღარიბთა და მოჯამაგირეთა თვალსაჩინოდ გადიდებული აქტიობა არ იქნა საკმარისად გამოყენებული პროლეტარული გავლენის განმტკიცებისათვის საშუალო გლეხობის ფენებში; აგრეთვე ჯეროვანად შეფასებული არ იყო საშუალო გლეხობის მნიშვნელობა საარჩევნო კამპანიისათვის; იყო შემთხვევები კლასობრივი ბრძოლის შეუფასებლობისა არჩევნების დროს, ამ ბრძოლის მიფუჩჩებისა და კლასობრივი სიფხიზლის შეუსტებისა; ეს იყო თვალსაჩინო წარმატების შედეგი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისა მთლიანი კოლექტივისა და ბაზისზე; აგრეთვე თავი იჩინა კულაკურ ელემენტებთან შეგუების ტენდენციამ, ხოლო ზოგიერთ ადგილას მათთან დაკავშირება იც.

3) ზოგიერთ ადგილას ნათლად ვერ გაიგეს, რომ საბჭოთა არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ არჩევნები უდიდესი საშუალებაა მთლად საბჭოთა მუშაობის ძირითადი გარდაქმნისათვის რეკონსტრუქციული პერიოდის ამოცანათა შესაბამისად.

4) ქალთა შორის მუშაობის სფეროში: შემცირდა მშრომელ ქალთა რიცხვი ხელმძღვანელი ორგანოების შედგენილობაში, ქალთა პროცენტი საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში, ქალთა მონაწილეობა სარაიონო და რასპუბლიკანურ ყრილობებში, რაც იმის შედეგია, რომ მთელმა რიგმა საბჭოთა ორგანიზაციებმა, მემარჯვენე ოპორტუნისტული თვალსაზრისის გამო, სათანადოდ ვერ შეაფასეს ქალთა როლი და ვერ გამოიჩინეს საკმარისი უნარი ქალთა გადიდებული აქტიობის გამოსაყენებლად და განსამტკიცებლად საბჭოთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პერიოდში.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიხედვით და განვლული საარჩევნო კამპანიის შედეგების ანგარიშში მიღებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—თავიანთ შემდგომ მუშაობაში საბჭოების მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გასაწვევად მხედველობაში მიიღონ შემდეგი:

ა) საბჭოების მუშაობა გარდაქმნილ და წარმოებულ უნდა იქნეს ისე, რომ საბჭოები გახდნენ პარტიის გენერალური ბაზის რეალური გამტარებელი:

სახქოთა აქტივზე დამყარებით და დამკვრელთა და კოლმეურნეთა შორის შემდგომი მუშაობის გაშლით, აგრეთვე ღარიბთა ორგანიზაციისათვის მუშაობის განვითარებით, საბჭოებმა, პარტიის ხელმძღვანელობით, უნდა განამტკიცონ თავიანთი კავშირი მასებთან და მიიზიდონ ათასობით ახალი მუშები და გლეხები სოციალიზმის აქტიურ მშენებლების რიგებში; ამისათვის საჭიროა ნამდვილად პირი იბრუნონ წარმოებისა, კოლექტიური მეურნეობისა და დამკვრელობისაკენ და, ამისდაშესაბამისად, გარდაქმნან სექციების მუშაობა, გააფართონ პრაქტიკა სოცშეთაესებისა, საბჭოთა-ჯგუფობისა წარმოებაში, კოლექტიურ მეურნეობაში და განამტკიცონ ფაბრიკებისა და ქარხნების მიერ სახელმწიფო აპარატისათვის შეფობის გაწევის საქმე; სასოფლო საბჭოების მუშაობა წარმართულ უნდა იქნეს იმ მხრით, რომ მაქსიმალურად გაძლიერდეს მათი ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობებისათვის შრომის ორგანიზაციის საკითხებში და აგრეთვე თავის დროზე და სავსებით ყველა იმ ამოცანის შესრულების საკითხებში, რაც სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებას ეხება;

ბ) კვლავ უფრო მეტი სიმკვეთრით და დაბეჯითებით გაშლილ უნდა იქნეს, პროლეტარული თვითკრიტიკის საფუძველზე, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა; ყოველშხრით განვითარებულ უნდა იქნეს მუშათა და გლეხთა კონტროლი ქვევიდან სახელმწიფო აპარატის მუშაობისათვის (ბრიგადები, შეფობა, სოცშეთაესება, სექციები და სხვ.); ამასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა დამუშავდეს სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და გაიაფების და აგრეთვე საადმინისტრაციო-ხელმძღვანელების ხარჯების შემცირების საკითხი; საჭიროა გაძლიერდეს კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა ქარხნებსა, ფაბრიკებსა და კოლექტიურ მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობისათვის, რაც საბჭოთა დემოკრატიის შრომის ახალი და თანაც უმაღლესი ფორმების განსახიერებაა;

გ) სულ მოკლე ხანში განსაზოგადოებულ იქნეს ამომრჩეველთა შემდგომი განაწესები; განაწესები და დამატებები მიღწევიანებულ იქნეს სექციებისა და საბჭოთა ჯგუფების მუშაობამდე; ცალკე იქნეს დაყენებული ამომრჩეველთა განაწესების აღსრულების კონტროლი და ამომრჩეველებს თავის დროზე ეცნობოს აღსრულება;

დ) კოლექტიურ მეურნეობათა შექმნისა და განმტკიცებისათვის წარმოებული ბრძოლის საქმეში ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოჯამაგირეთა და ღარიბთა ორგანიზაციის ამოცანას; რადგანაც სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მთავარი საყრდნობი კოლექტიური გლეხობაა, — სასოფლო საბჭოებმა, აი ამ ცენტრალურ ფიგურაზე დაყრდნობით, უნდა გააღრმავონ მუშაობა ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის, ვინაიდან, უკეთეს ეს ამოცანა წარმატებით არ იქნა ვადამწყვეტილი, შეუძლებელია კოლექტიური მეურნეობების შექმნა და განმტკიცება; აგრეთვე იმ ვარშეობასთან დაკავშირებით, რომ ინდივიდუალურმა ღარიბმა გლეხობამ შეინარჩუნა თავისი როლი საბჭოთა ხელისუფლების საყრდნობისა იქ, სადაც, კოლექტიურ მეურნეობათა ვარშე, ცოტად თუ ბევრად ღარიბთა თვალსაჩინო მასებია, აუცილებელია ღარიბი გლეხობის ჯგუფთა განმტკიცება, მათი სექციების მუშაობაში ჩაბმა და სხვ.;

ე) სასოფლო საბჭოების მუშაობის განმტკიცება შეუძლებელია უინისოდ, რომ გაუმჯობესებულ არ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის თვისება და ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური ორგანოების ხელმძღვანელობა; ამიტომ საჭიროა განივრძოს მუშაობის გაშლა რაიონების მდგომარეობის შესასწავლად, გაძლიერდეს ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელობა კადრების სათანადოდ შერჩევისა და რაიონებთან კავშირის გაუმჯობესების საქმეში და აგრეთვე თავის დროზე პრაქტიკული დახმარება გაეწიოს მათ—რაიონში სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის;

ვ) გაშლილ უნდა იქნეს დაუყონებლივ განსაკუთრებული მუშაობა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და წევრების საანბანო წერაკიოხვის უცოდინარობისა და ზციერმცოდნეობის სალიკვიდაციოდ;

ზ) უნდა მოხდეს აქტიური საძრისობა საბჭოების მუშაობაში ქალთა ჩამისათვის, კერძოდ—საბჭოთა საადმინისტრაციო კადრების მომზადების კურსებზე მოთავსებით, სექციების მუშაობაში მონაწილეობით, მათ შორის სოციალურ-კულტურული მუშაობის გაძლიერებით და სხვ.;

თ) ფართოდ უნდა გაიშალოს ადგილებზე შემოწმება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საქმის ჩატარებისა და შემდგომი განვითარებისა, ინტერნაციონალური ერთობის, პროლეტარული სოლიდარობის და ა/კსფსრ-ში მოსახლე ერების თანამშრომლობის განმტკიცებისა და მათი ნაციონალური—ფორმით და პროლეტარული—შინასრსით კულტურის განვითარებისა; პრაქტიკულად გაძლიერებულ უნდა იქნეს მუშაობა კადრების მომზადებისათვის ა/კსფსრ ძირითადი ერებიდან, მათგან სახელმწიფო აპარატის გაფუძიანებისათვის, სავაჭრო-კომერციული მუშაობის გაფართოებისათვის, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა შორის; აგრეთვე გაძლიერებულ უნდა იქნეს საკომეურნეო მშენებლობა და სოციალურ-კულტურული მშენებლობა (საყოველთაო სწავლება, სოც.-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და სხვ.) ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. ხულთანოვი.

1931 წ. ივლისის 22.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

170. ა/კსფსრ-ში გზათა მშენებლობისა და ავტოტრანსპორტის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ.

(ამხანაგთა იაშვილისა და ორჯონიკიძის მოხსენებების გამო)

მოისმინა-რა ამიერკავკასიის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს წარმომადგენლების მოხსენებანი— ა/კსფსრ-ში გზათა მშენებლობისა და საავტომობილო ტრანსპორტის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1.

1. აღინიშნოს, რომ:

ა) ა/კსფსრ შედგენილებაში შემაჯავლი რესპუბლიკების მთავრობებმა საკმარისი ყურადღება არ მიაქციეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს;

ბ) საკმარისად არ არის გამოყენებული კანონი შრომის საგზაო ბეგარის შესახებ (განზრახული 10 მილიონი მან. სამუშაოებიდან შესრულებულია მხოლოდ 15%);

გ) რაციონალურად არ არის ორგანიზებული შრომის საგზაო ბეგარა;

დ) ფულადი ასსივნები არ შეესაბამება ყოველგვარი გზების (საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი) საგზაო მშენებლობის საჭიროებათ ხუთწლედის პირველი სამი წლისთვის;

ე) ამის გამო წარმოსდგა საშიშროება, რომ ა/კსფსრ-ში საგზაო მშენებლობის ხუთი წლის გეგმა შესრულებული არ იქნება;

ვ) მიმდინარე წელს საგზაო მშენებლობის დაფინანსება არანორმალურად მიმდინარეობს, რაც არ შეეფერება მიღებულ ტემპებსა და სეზონობის პირობებს ა/კსფსრ-ში (წლიური კაპიტალური მშენებლობისათვის ა/კსფსრ-ში გადადებული ასსივნებიდან 1-ლ ნახევარწელში გაცემულია საერთო-საკავშირო გზებისთვის მხოლოდ 32%^{0/0}-ი და რესპუბლიკანური გზებისთვის—45%^{0/0}).

2. დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის 1931 წ. ივლისის 11-ის დადგენილება:

ა) ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური ბიუჯეტებით საგზაო სამუშაოებისათვის გადადებული ასსივნების მე-3 კვარტალში თავმოყრის აუცილებლობის შესახებ;

ბ) ამიერკავკასიის წარმომადგენლობისათვის დავალების შესახებ—აღძრას სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს წინაშე უშუალოდობა, რომ საერთო-საკავშირო გზების საგზაო მშენებლო სამუშაოთა ძირითადი დაკრედიტება მოხდეს მე-3 კვარტალში.

3. ა/კ. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ უნდა დააჩქაროს საშემოდგომო გადაზიდვებისათვის გამოსაცემელი გზების (რომლებიც ექსპლუატაციასაც ეწყევა სრულიად საკავშირო სამმართველო ტრანსპორტის შენაერთი) და პირველ რიგში მარცხელული და ბამბის გადაზიდვის რაიონებში.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი როგორც საერთო-საკავშირო, ისე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაფინანსების გაძლიერება 1932 წ. იქამდე, რომ შესრულებულ იქნეს არა მარტო ხუთწლედის მე-4 წლისათვის ნაეარაუდები, არამედ დაიფაროს ხუთწლედის პირველი სამი წლის დანაკლისიც.

5. დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 11-ის დადგენილება, რომლითაც წინადადება ეძლევა გზებით დაიტერყვებულ ყველა უწყებას, ორგანიზაციას და საწარმოს—გაითვალისწინოს 1932 წლის საკონტროლო ციფრებში კრედიტები საგზაო მშენებლობისათვის.

6. დაევალოს წინა მუხლში დასახელებულ ორგანიზაციებს—რეალურად განახორციელონ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემოაღნიშნული დადგენილება.

7. კერძოდ, დაევალოს „სოიუზხლბე“-ს და ამიერკავკასიის მეზამბეობის კომიტეტს—გაითვალისწინონ 1932 საბიუჯეტო წელს სახსარი საგზაო მშენებლობისათვის ამიერკავკასიის საბამე და სამარცხელელო რაიონებში საბამე და სამარცხელელო მეურნეობების გზებით უზრუნველსაყოფად და გზების ნუსხა და მათი ტიპი შეუთანხმონ ა/კ. გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს.

8. რადგანაც საბამე მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანში, საჭიროდ იქნეს ცნობილი 1932 წელს გინდარხ—ალჯაბედი—გი-აურარხ—დაშურუნისა და სალიანი—პუშკინო-ბელასუვარის გზების გაყვანა, საერთო მანძილით 100 კილომეტრამდე, რისთვისაც წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მეზამბეობის კომიტეტს—გაითვალისწინოს ეს სამუშაოები თავის გეგმებში და ეგზამპლუს საამისოდ საჭირო სახსარი.

9. რადგანაც საგზაო მშენებლობაზე მოსაქმე მუშათა მომარაგება მე-3 სიით აძნელებს მუშა-ძალის მოგროვებას და ჰქმნის ამ მუშა-ძალის დენადობას (ცვალებადობას), მით უფრო, რომ მომეზობლო ორგანიზაციები (ანდენოტი, ბარიტი, წყლის მეურნეობა) უკეთ არიან მომარაგებულნი, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—საგზაო მშენებლობის მუშები მე-3 სიიდან გადაიყვანოს მეორე სიაში.

10. რადგანაც საგზაო ბეგარა ა/კსფსრ ტერიტორიაზე აქამდე საქმარისად არ არის განხორციელებული (ხელაქონებული არასრული ცნობებით—ზხოლოდ წლიური გეგმის 15%—დე) რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის არასაქმარისი ენერგიით მუშაობის გამო და უმთავრესად-კი იმის გამო, რომ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები სათანადოდ არ აფასებენ საგზაო ბეგარის მნიშვნელობას, და რადგანაც აუცილებლად საჭიროა, რომ 100%-ით განხორციელებულ იქნეს წლიური გეგმით დასა-

ხული და როგორც ნატურალური ბეგარით შესასრულებელი ადგილობრივი გზების სამუშაოები, სახელდობრ: საქართველოში—4.600.000 მან., აზერბაიჯანში—3.800.000 მან. და სომხეთში—1.600.000 მან. რაოდენობით, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარით შესასრულებელი, სახელდობრ: საქართველოში—2.500.000 მან., აზერბაიჯანში—3.200.000 მან. და სომხეთში—700.000 მან. რაოდენობით, —წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების პრეზიდიუმებს:

ა) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ მოაწყონ თავისთან საგზაო სექციები, რომელთაც მუდრო კონტაქტი ექნებათ რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების ორგანოებთან;

ბ) დაავალონ რესპუბლიკანური გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს აწარმოონ კონტაქტური მუშაობა აღმასრულებელ კომიტეტებთან—ადგილობრივი საგზაო მშენებლობისათვის საერთო ტენიკური ხელმძღვანელობის გასაწევად.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ დადგენილებანი იმის შესახებ, რომ როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით საგზაო მშენებლობისათვის დანიშნული ფულადი სახსარი, ისე მოსახლეობის პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად მიღებული თანხები აუცილებლად მოხმარებულ იქნეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს აღადგინოს მთლად საგზაო მშენებლობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით 2.500.000 მან., რაც საამისოდ დანიშნული იყო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

13. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართოს აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბჭოთა საზოგადოებრიობას—საგზაო ბეგარის მნიშვნელობისა და მისი 100%-ით განხორციელების აუცილებლობის შესახებ.

14. რადგანაც ამიერკავკასიაში მანქანების შემოზიდვა არ შეესაბამება ხუთწლიური გეგმის ვარაუდს და ავრთვე ხელთკონებული პარკი არადამაკმაყოფილებულ მდგომარეობაშია იმიტომ, რომ იგი უზრუნველყოფილი არ არის რემონტით (ამიერკავკასიაში საავტო-სარემონტო ქარხნის არქონის მიზეზით ავტომანქანების უდიდესი რიცხვი გამოდის ექსპლოატაციიდან რემონტის უქონლობისა და არასაკმარისი რემონტის გამო), მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) იხმაროს სათანადო ღონისძიება, რათა ამიერკავკასია უზრუნველყოფილი იქნეს მანქანების შემოზიდვით ამიერკავკასიის სახალხო-სამეურნეო ცხოვრებისათვის საჭირო რაოდენობით;

ბ) იხმაროს ღონისძიება, რათა ტფილისში აშენებულ იქნეს საავტოსარემონტო ქარხანა, ხოლო ბაქოსა და ერევანში შეიქმნას სარემონტო ბაზინები.

II.

1. აღინიშნოს, რომ:

ა) სრულიად საკავშირი საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის მანქანების პარკი ვაცვეთილია;

ბ) ავტოტრანსპორტი გაქირავებულ მდგომარეობაშია სათადარიგო ნაწილების (საიმპორტო და საბჭოთა წარმოების) და მასალების უქონლობის გამო, რაც იწვევს მანქანების რემონტში დიდი ხნით ყოფნას და ამით მცირდება ტრანსპორტის გამოყენების ოდენობა;

გ) მანქანების მოძრაობის ტექნიკური სისწრაფე მცირეა, მანქანები ადრეულად ცვდება და ხშირ-ხშირად იმტვრევა გზების ტექნიკურად ცუდი მდგომარეობის გამო, განსაკუთრებით სამარცვლელო და საბამზე რაიონებში;

დ) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ამიერკავკასიის კონტორა თავის დროზე და საკმარისად არა მარაგდება ავტოტრანსპორტით, რაც იწვევს ვადაზიდვათა შესრულების თვალსაჩინო დაყოვნებას;

ე) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის კლიენტები სრული გარკვეულობით არ მუშაობენ და მიზანშეწონილად არ იყენებენ ავტოტრანსპორტს (საწყობები მთლად არ არის გადასული ორცვლად მუშაობაზე, საწყობები იხურება მუშაობის დროს, არ არსებობს დამტვირთველთა საკმარისი რიცხვი და სხვა ამისთ);

ვ) შეუსწარებელია დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის მანქანების გაჩერების დროს ნორმის გადიდება;

ზ) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ავტოტრანსპორტის სიძველისა, კვალიფიციური ავტო-მომუშავეთა არყოლისა და საწყობებისა, კლიენტებისა და რკინისგზების გაურკვეველი მუშაობის შედეგია სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის მიერ ვადაზიდვათა გეგმის შესრულებლობა 1931 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში;

თ) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ავტოპარკი უზრუნველყოფილი არ არის საგზაო სადგომებით;

ი) მიუხედავად შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა—სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის აკრძალვის შესახებ,—ადგილები მაინც განაგრძობენ აღნიშნული შენაერთის მოძრავი შედგენილობის მობილიზაციას სხვადასხვა გვარი კამპანიების ჩასატარებლად.

ზემოაღნიშნულის მიხედვით და სატრანსპორტო მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ავტოპარკის მოძრავი შედგენილობის რაციონალურად გამოყენების მიზნით საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა:

1) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ავტოტრანსპორტი და მის მიერ მომსახურება-გასაწევი კლიენტურა სავსებით ვადავიდნენ ორცვლად და სამცვლად მუშაობაზე;

2) სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის კლიენტურის საწყობებში და აგრეთვე რკინის გზებზე გადიდებულ იქნეს დამტვირთველთა რიცხვი და, შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით, შემოღებულ იქნეს მათთვის შრომის ნაჭრობითი ან პრემიალური სასყიდელი;

3) რკინის გზებისა, სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის და ამ უკანასკნელის კლიენტურის საწყობებში მოწყობილ იქნეს თუნდაც სულ მარტივი ხელსაწყო დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის;

4) 1931 წელს საენებით იქნეს გაშლილი სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის 1931 წლის გეგმით გათვალისწინებული გარეუბნების მშენებლობა;

5) კატეგორიულად აეკრძალოს ადგილებს „სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების დარღვევა;

6) წინადადება მიეცეს „ავტორემსნაბ“-ის ამიერკავკასიის განყოფილებას— პირველ რიგში და განცხადებებით განსაზღვრულ ვადებზე მიაწოდოს სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის საბჭოთა და საიმპორტო წარმოების სათადარიგო ნაწილები და მასალები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
 კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ივლისის 26.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

171. 1931 წელს მუშა-ძალით მშენებლობის მომარაგების ოპერატიული გეგმის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი—1931 წელს მუშა-ძალით ა/კსფსრ მშენებლობის მომარაგების ჯუშმობითი ოპერატიული გეგმა დამტკიცებულ იქნეს.

2. რადგანაც მშენებლობის გეგმების თვალსაზრისით ნაწილი შესრულებული არ არის მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლის განმავლობაში (შესრულებულია წლიური გეგმის 30⁰/₁₀₀-ი), რის გამოც ა/წ. მეორე ნახევარწლის განმავლობაში შეიქმნება გაძნელებული მდგომარეობა მუშა-ხელით მშენებლობის მომარაგების

საქმეში და რადგანაც, ამასთანავე, სამშენებლო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარწლის განმავლობაში სათანადო სიმაღლეზე ვერ დააყენეს შრომის ორგანიზაციისა და მშენებელთა წესიერად გამოყენების საქმე, აგრეთვე არაუზრუნველყვეს მუშები ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით,—დაევალოს სამშენებლო ორგანიზაციებს:

ა) წარუდგინოს ორი დეკადის ვადაზე დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამშენებლო სექტორის და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს—კუთვნილებისამებრ—სამშენებლო სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის გეგმა მიმდინარე წლის მე-III და IV კვარტალებისათვის;

ბ) მაქსიმალურად გამოიყენონ სამშენებელზე ქონებული მექანიზმები; ამასთანავე, კონტროლის გაწევა ამა დადგენილების შესრულებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მის ადგილობრივ ორგანოებს;

გ) უზრუნველყონ მშენებელი მუშების შრომის ნაყოფიერების გადიდება 33⁰/₁₀₀-ით და სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მუშების შრომის ნაყოფიერების აღნუსხვა, განსაკუთრებით-კი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვერელობის შედეგების აღნუსხვა;

დ) დაამთავრონ, არა უგვიანეს აგვისტოს 10-სა, კოლექტიურ მეურნეობებთან მუშა-ძალის მოგროვების თაობაზე ხელშეკრულებების დადება, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი მუშა-ძალის განაწილების რაიონობითი გეგმების საფუძველზე;

დაევალოს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—უზრუნველყოს კოლმეურნეთა გარე-სამუშაოდ მშენებლობაზე ორგანიზებულად გასვლა სამეურნეო ორგანოების მიერ კოლექტიურ მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით;

ე) უზრუნველყონ სამშენებლო სამუშაოების თანაბარი გაშლა მიმდინარე წლის მე-II ნახევარწლის განმავლობაში და გაითვალისწინონ გეგმებში მიმდინარე წლის ნოემბრის და დეკემბრის თვეების თანაბარი დატვირთვა;

ვ) რაციონალურად გამოიყენონ მშენებელ მუშათა ხელთმყოფი კადრები, მათი კვალიფიკაციის შესაბამისად, და სავსებით აიცილონ მუშების მოცდენა, განსაკუთრებით კვალიფიკაციური მშენებლებისა;

ზ) უზრუნველყონ როგორც შენებაზე უკვე მოსაქმე მშენებელი მუშები, ისე სამუშაოზე ახლად მისულნი სათანადო საბინაო და სასანიტარო-სატეხნიკო პირობებით, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მოთხოვნისამებრ.

3. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებსა და მათ ადგილობრივ ორგანოებს:

ა) დააწესონ კონტროლი სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ამა დადგენილების შესრულებისათვის;

ბ) წინასწარ, ვიდრე მშენებლობანი ახალ მუშებს მოაგროვებდნენ, შეამოწმონ ამ მშენებლობებზე არსებული შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები და,

უკეთეს ნორმალური პირობები არ აღმოჩნდება, წინასწარ, ახალი მუშა-ძალის მოგროვებამდე, მოახერხონ ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა სათანადო მშენებლობებზე;

გ) ხელი შეუწყონ სამშენებლო ორგანიზაციებს შრომის წესიერი ორგანიზაციის საქმეში; ამასთანავე, ა/კსტს რედაქციის დირექტორს მშენებლობათა საქმიანობაში უნდა შეთანიერგოს ფუნქციონალობის ახალი მეთოდები, რასაც სსრკ-ის დირექტორს მშენებლობებზე ანხორციელებს შრომის ცენტრალური ინსტიტუტი;

დ) დააწესონ კონტროლი შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსებ-დამთავრებულთა მშენებლობებზე სათანადოდ გამოყენებისათვის;

ე) შეამოწმონ ერთი თვის ვადაზე ყველა დიდი მშენებლობის მუშაობა იმ მხრით, თუ რამდენად არის გატარებული მშენებელ მუშათა შრომის სასყიდლი-სათვის დაწესებული შეფასებანი; ამასთანავე, ის სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც დაარღვევს ამ შეფასებათ, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისმგებლობაში სასამართლო წესით;

ვ) უზრუნველყონ მუშა-ძალით პირველ რიგში ის სადამკვეთო მშენებლობანი, რომელნიც, როგორც ამ რეგისანი, განსაზღვრულ არიან სსრკ-ისა და ა/კსტს მთავრობათა დადგენილებების თანახმად; ამასთანავე, საჭირო შემთხვევაში, მოახდინონ ხოლმე მშენებელ მუშათა გადაგზავნა ნაკლები მნიშვნელობის მშენებლობიდან სადამკვეთო მშენებლობაზე.

4. დაევალოს ა/კსტს მომარაგების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სადარგო კოოპერატიულ შენაერთებს უზრუნველყონ მშენებელ-მუშათა დაუცადებელი მომარაგება სამრეწველო და სასურსათო პროდუქტებით—დაწესებული ნორმების ფარგლებში.

5. დაევალოს სამშენებლო ორგანიზაციებს, სააქციო საზ. „უსტანოვკა“-ს ამიერკავკასიის კონტორას და მის ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე ა/კსტს შრომის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყონ დაუყოვნებელი გადასვლა კვალიფიციური მშენებლების გაუპიროვნებულ მომზადებიდან ისეთ მომზადებაზე, რაც გათვალისწინებულ იქნება სააქციო საზ. „უსტანოვკა“-ს ა/კ. კანტორასა და სამშენებლო ორგანიზაციებს შორის დადებულ ხელშეკრულებებით; ამასთანავე, დაეკისროს სამშენებლო ორგანიზაციებს—ხელი შეუწყონ სააქციო საზ. „უსტანოვკა“-ს ა/კ. კანტორას მშენებელთა მომზადების მუშაობაში.

ა/კსტს სახალხო კომისარიატს
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსტს სახალხო კომისარიატს
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1931 წ. ივლისის 26.

№ 336.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

172. კოლექტიური მეურნეობებიდან გარე-სამუშაოზე გასვლის ორგანიზაციის ღონისძიებათა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის სოფლად მუშა-ხელის მოგროვების საქმეში ხელის შეწყობის შესახებ.

„გარე-სამუშაოზე გასვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 30-ის დადგენილების შესაბამისად (გამოქვეყნებულია ვაზ. „იზვესტია“-ში 1931 წ. ივლისის 7-ს) ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსუსრ-ისა და ა/კსუსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, სამეურნეო ორგანიზაციებთან და საკოლმეურნეო ცენტრებთან ერთად, ვააზუსტონ მოთხოვნილება მუშა-ძალისადმი თვეობით, და ერთი დეკადის ვადაზე შეადგინონ მუშა-ძალის მოგროვების რაიონობითი გეგმები 1931 წლის მე-II ნახევარწლისათვის.

2. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატებს, საკოლმეურნეო ცენტრებთან, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად, სამი დღის ვადაზე, დღიდან სოფლად მუშა-ძალის მოგროვების საკონტროლო ციურების დამტკიცებისა, მიაწვდინონ ეს გეგმები რაიონებს, სასოფლო საბჭოებს, კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს, ინდივიდუალურ მეურნეებს და ცალკეულ საწარმოთ და მუშებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსუსრ სახალხო მეურნეობის უმილღეს საბჭოს, ა/კსუსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას, ამიერკავკასიის სარკინისგზო მშენებლობის სამმართველოს და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს, ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ გამოარკვიონ, რამდენად მომხადეულნი არიან ცალკეული საწარმონი, მშენებლობანი და სხვა ამისთ. მუშების მისაღებად, და იხმარონ ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს მუშათა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მექანიზაციის განსორციელებას, განსაკუთრებით უფრო შრომატევადიან სამუშაოებში, მუშა-ძალის წესიერ და მიზანშეწონილ გამოყენებას და სხვ.

შრომის სახალხო კომისარიატებმა და შრომის სარაიონო ინსპექტორებმა, პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და მუშათა საზოგადოებრიობასთან ერთად, უნდა დაამყარონ კონტროლი ამა მუხლის შესრულებისათვის.

4. დაევალოს სამეურნეო ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ შეუდგენ კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებების დადებას ზედმეტი მუშა-ძალის გამოყოფის შესახებ და გაითვალისწინონ ამ ხელშეკრულებებში ორივე მხარის კონკრეტული ვალდებულებანი, კერძოდ—გარე-სამუშაოზე გასულთათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა, კოლექტიური მეურნეობებისათვის საწარმოო და მატერიალური დახმარების გაწევა, კოლექტიური მეურნეო-

მებისათვის გაწყობილობის მიცემა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი, საბავშვო ბავათა და ბაქანთა მოწყობა, გარე-სამუშაოზე გასულთა ბავშვების სა-
ფარმო-საქარხნო სკოლებში, სამშენებლო საქმის სწავლების სკოლებში, პრო-
ფესიონალურ-ტექნიკურ კურსებზე და სხვა ამისთ, კურსებზე მიღება.

შრომის სახალხო კომისარიატებმა და პროფესიონალურმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ ხელშეკრულებებით ნაკისრებ ვალდებულებათა აღს-
რულებას და აგრეთვე პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ სსმეურნეო ორ-
განოებს და კოლექტიურ მეურნეობებს.

5. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, თავმჯდომარეების პასუხისმგებლობით, და სარაიონო საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—
გაუწიონ პრაქტიკული დახმარება სამეურნეო ორგანოებს, შრომის სახალხო კო-
მისარიატის ორგანოებს და კოლექტიურ მეურნეობათა კავშირებს მუშა-ძალის მოგროვების შესახებ ხელშეკრულებების დადებისა და ამ ხელშეკრულებების გან-
ხორციელების საქმეში.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—
შეიმუშაოს და განახორციელოს ამა თუ იმ ცალკეულ საწარმოში ერთი თვის ჭადაზე ღონისძიებათა სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოგროვილი მუშა-ძალის საწარმოზე მიმავრებას და მუშათა დენადობის (ცვლელადობის) ლიკვიდაციას.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერ-
კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის და სამომხმარებლო კოოპე-
რაციის მთელ სისტემას—უზრუნველყონ მუშების დაუცადებელი მომარაგება,
დადგენილი ნორმების ფარგლებში, დეფიციტური საქონლით და განსაკუთრე-
ბული ყურადღება მიაქციონ მრეწველობის უაღრეს დარგებს.

გააძლიერონ ქვედა კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობა საწარმოსა
და მშენებლობაში.

პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა დააწესონ მუშათა ყოველ-
დღიური კონტროლი კოოპერაციის მუშაობისათვის.

8. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს
ერთი დეკადის ვადაზე ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით იმ კო-
ლექტიურ მეურნეობათა უპირატესად მომარაგებისათვის, რომელნიც გამოყოფ-
ნენ გარე-სამუშაოზე გამსვლელ კოლმეურნეთა თვალსაზრის რიცხვს.

9. ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრმა, სამეურნეო ორგანოებთან ერ-
თად, უნდა დააწესოს კოლექტიურ მეურნეობათა დასაჯილდოებლად რამდენიმე
პრემია ზედმეტი მუშა-ძალის გამოყოფის ვალდებულებათა თავის დროზე და
წარმატებით შესრულებისათვის.

10. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო
კომისარიათა საბჭოებს განსაზღვრონ ასეთი კოლექტიური მეურნეობებისათვის
(მუხ. 8) უპირატესობანი სკოლებისა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ
დაწესებულებათა, ბავათა, საბავშვო სახლთა და სხვა ამისთ. მოწყობის დროს.

11. დაევალოს სამომხმარებლო კოოპერაციას—განსაზღვროს ისეთი კო-
ლექტიური მეურნეობებისათვის, რომელნიც იძლევიან გარე-სამუშაოზე გამს-
ვლელთა უფრო დიდ რიცხვს, უპირატესობანი, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და-

წესებულებათა (სასადილო, სამზარეულო, სამრეცხველო და სხვ.) მოსაწყობად, სახსარისა და გაწყობილობის გამოყოფის დროს.

12. წინადადება ნიუცეს ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს—წარადგინოს, ერთი თვის ვადაზე, ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატში და ა/კფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში კოლექტიურ მეურნეობათა შრომის ბალანსი სარაიონო ხაზით.

13. დაევალოს ა/კფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ა/კფსრ შრომისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, შეიმუშაოს სამი თვის ვადაზე შრომის ბალანსი კოლექტ. მეურნეობაში—სარაიონო ხაზით—1932 წლისთვის.

14. დაევალოს ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, აწარმოოს ფართო პოპულიარიზაცია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იენისის 30-ის დადგენილებისა „გარე-სამუშაოზე გასვლის შესახებ“, ისეთი ვარაუდით, რომ ეს დადგენილება მიწვდენილ იქნეს რაიონამდე, სასოფლო საბჭომდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და ცალკეულ კოლმეურნემდე და საგლეხო კომლამდე.

ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრმა ერთი დეკადის ვადაზე უნდა გამოსცეს ნაციონალურ ენებზე და მიაწოდოს ადგილებს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

15. მიენდოს ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონურ კავშირთა საბჭოსთან და დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშაოს ღონისძიებანი სხვადასხვა საწარმოსა და რაიონში ერთიდაიმავე კვალიფიკაციის სამუშაო ხელფასის თანაბრობის თავიდან ასაცდენად და შიაკციოს განსაკუთრებული ყურადღება მრეწველობის უალრესი მნიშვნელობის დარგებს მუშათა მძღვანებელი ჯგუფების მიხედვით.

ა/კფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1931 წ. ივლისის 26.

№ 387.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია გოსტოკა“-ს 211 №-ში 1931 წ. აგვისტოს 3-ს



დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

173. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში 1931 წელს ქალთა ჩაბმის საკითხის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ თუმცა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობას მუშა-ძალა დიდად ესაუბროება, მაინც სამეურნეო ორგანიზაციებმა და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა ფართოდ ვერ გაშალეს მასსური მუშაობა სახალხო მეურნეობაში ქალთა ჩასაბმელად, პირველ რიგში მუშებისა, მოჯამაგირეებისა და წითელარმიელების ცოლებისა, კოლმეურნე-ქალებისა და სხვ.; ამის გამო, წარმოებაში ქალთა მაქსიმალურად ჩაბმისა და ზემოაღნიშნულ ნაკლთა თავიდან აცილების მიზნით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადასტურებულ იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობაში ქალთა ჩაბმისა და დაევალოს სამეურნეო ორგანოებს და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს—კვლავ ჩააბან 1931 წლის ბოლოსთვის ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობაში 43.000 ქალი, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სოფლის მეურნეობის ჩაუთვლელად. აქედან—ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ გაერთიანებულ მრეწველობაში—10.000 ქალი, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწველობაში—3.000 ქალი, „აზნეფში“—2.000 ქალი, სამშენებლო ორგანიზაციებში—8.000 ქალი, ამიერკავკასიის რკინის გზაზე—2.500 ქალი, ადგილობრივ ტრანსპორტზე—1.000 ქალი, სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტზე—600 ქალი, განათლების სახალხო კომისარიატებისა და სახალხო განათლების განყოფილებების ხაზით—5.000 ქალი, ჯანმრთელობის ხაზით—2.400 ქალი, სახალხო კავშირგაბმულობის ხაზით—1.200 ქალი, სამმართველო აპარატის ხაზით—4.300 ქალი, კომუნალურ საწარმოთა და სახალხო კვების ხაზით—3.000 ქალი.

2. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და სამეურნეო ორგანოებს—უზრუნველყონ, რომ მუშათა და მოსამსახურეთა ახლად შეესებულ კადრებში ქალთა რიცხვი შეადგენდეს არა ნაკლებ 40⁰/₆-ისა.

3. წარმოებისათვის და შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსებისა და ბაზისებისათვის ქალთა მოგროვების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამიერკავკასიის ძირითად ერთა ქალების (თურქი-ქალებისა, ქართველი-ქალებისა და სომეხი-ქალების) და აგრეთვე უფრო ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა (აჭარელი-ქალების, აფხაზი-ქალების, ოსი-ქალების, ქურთი-ქალების, თალიშ-ქალების, ასსურელი-ქალების, მთიელ ებრაელი-ქალების და სხვ.) მიზიდვას.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სამეურნეო ორგანოებთან ერთად, მოამზადოს საწარმოთა და მშენებლობათა მოკლევადიან კურსებზე და შრომის ცენტრალური ინსტიტუტის ბაზისებზე არა ნაკლებ ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მრეწველობაში ახლად ჩასაბ-

მელი ქაღების 70%-სა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მრეწვე-
ლობაში—25%-ისა, სამშენებლო ორგანიზაციებში—60%-ისა, ტრანსპორტზე—
70%-სა, სახალხო კავშირგაბმულობის ხაზით—50%-სა, და სამართველო აპა-
რატის ხაზით—50%-ისა.

5. დავეალოს ქვემოლ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, სახელმწიფო და ადგი-
ლობრივი ბიუჯეტებით და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით გათვალისწინე-
ბული ყველა ასიგნისა და სხვადასხვა ანარიცხის გარდა, რაც დაწესებულია კულ-
ტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და შენახვი-
სთვის, გამოჰყონ, უმთარრესად კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა
და მომართულებათა შესანახად და ამ დაწესებულებათათვის (საბავშვო ბაღები,
სახოგადოებრივი სამრეცხველო, სასადილო და სხვ.) არსებული სადგომების სა-
რემონტოდ, დამატებითი სახსარი შემდეგი რაოდენობით:

ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ (თავისი მრეწველობის ხაზით)	150.000 მან.
„აზნეფთმა“	200.000 „
მომარაგების სახალხო კომისარიატმა (თავისი მრეწველობის ხაზით)	70.000 „
სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენა- ერთმა	30.000 „
ტრამვაიმ (ბაქოს)	25.000 „
„ (ტფილისის)	25.000 „
ამიერკავკასის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა (სა- მომხმ. კოოპ. ხაზით)	200.000 „
ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა (საბჭოთა მეურნეობების დასამანქ.-სატრ. სადგურების ხაზით)	200.000 „
ს უ ლ 900.000 მან.	

6. დავეალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაამყაროს სისტე-
მატიური კონტროლი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ყველა სახსარის დანი-
შნულებისამებრ ხარჯვისა და სავსებით შეგუებისათვის.

7. დავეალოს ამა დადგენილების მე-5 მუხლში დასახელებულ ყველა ორგა-
ნიზაციას და უწყებას—ვიეიშუაოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულე-
ბების მშენებლობისა და შენახვის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა და ამ ღო-
ნისძიებათა აღსრულების საკალენდრო გეგმა და, არა უგვიანეს აგვისტოს 5-ისა,
მიაწვდინოს ეს გეგმები ტრესტებს, საწარმოთ და ქვედა ორგანიზაციებს.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კა-
ვშირს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამხანავთა ბუ-
კრევის და ვეზიროვის პირადი პასუხისმგებლობით, წარუდგინონ სამი დღის
ვადაზე, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგე-
გმო კომისიას სამომხმარებლო კოოპერაციასა და სოფლის მეურნეობაში ქალთა
ჩაზმის კონკრეტული გეგმა.

9. დადასტურებულ იქნეს თვიურის ჩატარება ივლისის 15-დან აგვისტოს 15-მდე წარმოებაში ქალთა შრომის შთანერგვისათვის და დაევალოს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და ადგილობრივი აღმასრ. კომიტეტებს—ხელი შეუწყონ თვიურს და დააწესონ კონტროლი განსახორციელებელი თვიურის მსვლელობისათვის.

10. წინადადება მიეცეს ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს სამი დღის ვადაზე დადგენილება, რომლითაც აკრძალულ იქნება შემდგომში მამაკაცთაგან კვალიფიციური მუშების მომზადება ისეთი პროფესიებისათვის, რაც, ა/კფსრ შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად, შეესებულ უნდა იქნეს მარტოდენ ქალებით; რაც შეეხება იმ პროფესიებისათვის მუშა-ძალის მომზადებას, რაც უპირატესად შეესებულ უნდა იქნეს ქალებით, დაწესებულ იქნეს—სავალდებულოდ და უპირატესად ქალების ჩაბმა ამ პროფესიებისათვის მომზადებაში.

ა/კფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. იარახელაშვილი.

ა/კფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1931 ივლისის 28.

№ 385

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 211 №-ში 1931 წ. აგვისტოს 3-ს.

დადგენილება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შეფარდებული კომისიისა.

174. „საბამზე რაიონებში სამრეწველო საქონლის შეზიდვის თაობაზე“ გამოცემული ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის წარმომადგენლის ამხ. ლაპტევისა და ამიერკავკასიის მეზამბეობის კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ფარაჯ-ზადეს მოხსენებანი და ა/კფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. პოტერიახინის თანამოხსენება—საბამზე რაიონებში სამრეწველო საქონლის შეზიდვის შესახებ, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოწმებული კომისია აღნიშნავს, რომ რაოდენობით პირველ ნახევარწლის განმავლობა-

ში საქონლის შეზიდვის გეგმა ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს შესრულებული აქვს საერთოდ დამაკმაყოფილებლად, ხოლო რაც შეეხება მებამბეებისათვის მიზიდული საქონლის ასსორტიმენტის თვისებას, ამ მხრივ მთავრობისა და პარტიის ღირექტივები შესრულებული არ არის.

მებამბეებისათვის შეზიდული საქონლის ასსორტიმენტში არ მოიპოვება მცენარეული ზეთი, სასარაჯო და სალითონო ნაკეთობა, ტყავეული და რკინეული საქონელი; ამასთანავე აზერბაიჯანში შეზიდული საქონლის საერთო რაოდენობის 41,9⁰/₆-ს—შეადგენს საქალაქო ასსორტიმენტი (ტრიკოტაჟი, დიდი ფასიანი მზა ტანისამოსი, ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და სხვ. ამისთ.).

ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს მოწყობილი არ აქვს რაიონებში მეთვალყურეობა, აღწევს თუ არა ფაქტიურად საქონელი მებამბეებამდე, და ბრძოლა იმისათვის, რომ საქონელი არა რჩებოდეს რაიონულ ცენტრებში და სამომხმარებლო კოოპერაციის სესტემა დიდ წანამატ ფასს არ აღებდეს საქონელს.

ამისდამიხედვით აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—ამხ. ლაბტევის პასუხისმგებლობით—საბოლოოდ მოაწესრიგოს ერთი დეკადის ვადაზე მებამბეებისათვის დანიშნული საქონლის ასსორტიმენტის საკითხი.

2. ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირმა უნდა მოაწყოს სისტემატიური კონტროლი, რათა საქონელი აღწევდეს მებამბეობის ქვედა ფენებამდე, და შემოიღოს ორდევადური მოხსენებები ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის სამრეწველო საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ.

3. დაევალოს ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს—კატეგორიულად აუკრძალოს სარაიონო და სასოფლო კოოპერატიულ ორგანიზაციებს სამრეწველო საქონელზე თვითნებისად წანმატების დადება და ამის შედეგი მოახსენოს აღსრულების შემმოწმებელ კომისიას აგვისტოს 19-ის სხდომაზე.

4. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მორიგ სხდომაზე—აგვისტოს 9-ს მოხმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოხსენება მზა ნაკეთობათა (ტანისამოსი, ფეხსაცმელი და სხვ.) ფასების შემცირების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი თ. მელნიკოვი.

1931 ივლისის 29.

№ 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 214 №-ში 1931 წ. აგვისტოს 6-ს.

დადგენილება ა/კსუსს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემოწმების კომისიისა.

175. ბაზის დამუშავების კამპანიის თაობაზე სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ გამოცემული 1931 წ. V/12 დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმოდგენლის მოხსენება—ბაზის დამუშავების კამპანიის მსვლელობის შესახებ, აღსრულების შემოწმების კომისია აღნიშნავს, რომ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1931 წლის მაისის 12-ის დადგენილების ის ნაწილი, რაც დავალებათა შესრულების ვადებსა და ოდენობას ეხება, აღსრულებული არ არის.

ივლისის 25-თვის ა/კსუსს-ში 1-ლი კულტივაცია შესრულებულია მხოლოდ 40%-ით, მეორე—39%-ით და მესამე—13%-ით, მაშინ, როდესაც ყველა სამი კულტივაცია შესრულებული უნდა ყოფილიყო ივლისის 20-თვის. სატრაქტორო კულტივაციით მოცულია ფართობის მხოლოდ 13%-ი. მეორე მარგლა ივლისის 25-თვის შესრულებულია 96%-ით და შეთხლება—79%-ით, მესამე—43%-ით, მაშინ, როდესაც ყველა ეს სამუშაო დამთავრებული უნდა ყოფილიყო მაისის 20-თვის. დამუშავების თვისება მთელ რიგს რაიონებში (პუშკინო, აღჯაბედინი, ყარაღინლი, ალი-ბაირამლი და სხვ.) დამაკმაყოფილებელი არ არის.

აღსრულების შემოწმების კომისია აღნიშნავს საბჭოთა საბაზებზე მეურნეობების მიერ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივის არადამაკმაყოფილებლად შესრულებას, რადგანაც აქ ივლისის 25-თვის პირველი მარგლა ჩატარებულია 60%-ით, პირველი გათხელება—45%-ით, მეორე მარგლა და გათხელება—თანადობით—9% და 3%-ით, პირველი კულტივაცია—76%-ით, მეორე—13%-ით და მესამე—2%-ით.

ბაზის დამუშავების კამპანიის ჩაშლის ძირითად მიზეზებად აღსრულების შემოწმების კომისიას მიაჩნია:

1) რესპუბლიკანური სარაიონო ორგანიზაციების, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სსრ-ში, და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების (პუშკინოსი, საბირაბადისა, უჯარისა, ლაიკისა და სხვ.) არათავის დროზე გადასვლა, ბაზის დირექტივის შემდეგ, დამუშავების კამპანიის ამოცანების აღსრულებაზე;

2) საკოლმეურნეო სისტემის მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შეუსრულებლობა შრომის ორგანიზაციისა და ნაჭრობითობის შთანერგვის სფეროში; შრომის აღნუსხვის ფორმები აზერბაიჯანის სსრ კოლექტიურ მეურნეობამდე მიღწეულია მხოლოდ ა/წ. ივლისის 15-თვის; სამუშაო გეგმები შედგენილია მხოლოდ 1-ლი დამუშავების ბოლოსთვის (აზერბაიჯანის სსრ-ის კოლმეურნეობებში მარტოოდენ 56,7%-ით);

ამასთან დაკავშირებით საბამზე რაიონებს არ აქვთ კოლექტიურ მეურნეობებში მუშა-ძალის ბალანსები; ამ მუშა-ძალის გამოყენება არარაციონალურია; მოწყობილი არ არის საკოლმეურნეობათა შორისო ბუქსირი;

3) საბჭოთა საბამზე მეურნეობებმა ვერ მოახერხეს საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა მუშა-ძალის ღენადობის (ცვალებადობის) მოსასპობად და მის მისამაგრებლად მთელი იმ ხნით, რაც ესაჭიროება დამუშავებას და მოსავლის აღებას.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ ასეთი მოპყრობა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივისადმი პირდაპირ საფრთხეში აყენებს ბამბის საგვემო მოსავლიანობას (8,5 ცენტ.), განსაკუთრებითი პუშკინოს, ალი-ბაირამლის, ნორაშინის, ყარადონლის და მთელ რიგ სხვა რაიონებში და ამიერკავკასიის ყველა საბჭოთა საბამზე მეურნეობაში.

ამისდამიხედვით აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღგენს:

1) დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ამიერკავკასიის მებამეობის კომიტეტს, ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს და ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრს—მოაწყონ სამი დღის ვადაზე ორკვირეული ბამბის დამუშავების დამთავრებისათვის, განსაკუთრებით საბჭოთა საბამზე მეურნეობებში—შაბათობის მასშრად მოწყობით, სარაიონათა შორისო და საკოლმეურნეობათა შორისო ბუქსირის ფართოდ გაშლით და სხვა ამისთ.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემაველი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა წარავლინონ დამუშავების მხრით ჩამორჩენილ რაიონებში პასუხისმგებელი მომუშავენი.

2) ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრმა უნდა შეამოწმოს დამუშავების კამპანიაში ჩამორჩენილი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექციების მიერ საქმისათვის ხელმძღვანელობის გაწვევის მდგომარეობა და დაადვას უშუალოდ გადასახდელი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების იმ ხელმძღვანელთ, რომელთაც გამოიჩინეს დაუდევრობა და ოპორტუნისტული მოპყრობა საქმისადმი ბამბის დამუშავების ამოცანების აღსრულების სფეროში.

3) რესპუბლიკანურმა წყალთა მეურნეობის სამმართველოებმა უნდა იქონიონ სასტიკი მეთვალყურეობა წყლის ეკონომიურად ხარჯვისათვის უკანასკნელი მორწყვის დროს და წყალსარგებლობის წესების დაცვისათვის და მოაწყონ რაიონებში საჩვენებელი პროცესები ამ წესების დამრღვევთა წინააღმდეგ, როგორც წყალმოსარგებლეთაგან, ისე წყლის ადმინისტრაციისაგან.

4) 1932 წლის საბამზე კამპანიის ძირითადი საწარმოო ამოცანების აღსრულებისათვის საჭირო ტემპებისა და თვისების უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის მებამეობის კომიტეტთან, ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრთან და ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრთან ერთად, 15 დღის ვადაზე, შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს—1932 წელს

ველა კატეგორიის საბაზე კადრების მომზადების კონკრეტული გეგმა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ამ კადრების თავის დროზე მომზადებას და გარდაამზადებას.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი თ. მელნიკოვი.

1931 წ. ივლისის 29.

№ 20.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსუსს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შეფერვაზელი კომისიისა.

176. 1931 წლის მოსავლის ბაზის გადაზიდვისათვის გზებისა და ტრანსპორტის განმზადების შესახებ.

მოსმინა-რა სრულიად საკეფირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ამიერკავსის კონტორის წარმომადგენლის აზრს. იაშვილისა და ამიერკავსის მებამეობის კომიტეტის წარმომადგენლის აზრს. ფარაჯ-ზადეს მოხსენებანი და ა/კსუსს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის აზრს. პოტერიხინის თანამოხსენება, — ა/კსუსს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ მუშაობა 1931 წლის მოსავლის ბაზის ტრანსპორტირების უზრუნველყოფისა და საამისო გზების განმზადებისათვის სრულიად საკეფირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ამიერკავსის კონტორამ და ამიერკავსის მებამეობის კომიტეტმა დამაკმაყოფილებლად ვერ გაშალეს.

რათა თავის დროზე იქნეს განხორციელებული სამზადისი 1931 წლის მოსავლის ბაზის გადაზიდვისათვის წინამდგომარე შემოდგომა-ზამთრის პერიოდში — აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დავალს ამიერკავსის მებამეობის კომიტეტს — ერთი დეკადის ვადაზე საბოლოოდ გააწესტოს ბაზის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გადაზიდვის რაოდენობა და მიმართულება და დაამთავროს სატრანსპორტო ორგანიზაციებთან და კოლექტიურ მფურნეობებთან ხელშეკრულებების დადება.

ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტმა, ამიერკავკასიის ტრაქტორცენტრთან ერთად, 1¹/₂ დეკადის ვადაზე შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პარკის საწვევ ძალისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებისათვის ბაზმის ტრანსპორტირების პერიოდში შესყიდვის პუნქტიდან რკინის გზის სადგურებამდე და ბაზმის ქარხნებამდე.

2. დაევალოს სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთს—ორი დეკადის ვადაზე გამოარკვიოს ხელთქონებული საზიდავი საშუალებანი რაიონებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებში, და განსაკუთრებით კულაკურ მეურნეობებში; აგრეთვე შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ ტრანსპორტის თავის დროზე რემონტისათვის.

3. სრულიად საკავშირო საავტომობილო ტრანსპორტის შენაერთის ამიერკავკასიის კონტორამ, ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრთან ერთად, შეიმუშაოს აგვისტოს 10-თვის მექანიკური და ჰაპანიზიდვის ტრანსპორტით ვადაზიდვის ფასები და წარუდგინოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს განცხადება მოსავლის აღებისა და შესყიდვის კამპანიის პერიოდში ტრანსპორტისათვის საჭირო მარცვლეული ფურაჟისა და მოცულობითი ფურაჟის რაოდენობის შესახებ.

ამასთან ერთად საკვებთა მრეწველობის ამიერკავკასიის კავშირმა უნდა შეიმუშაოს სატრანსპორტო ორგანიზაციების ფურაჟით მომარაგების გეგმა და უზრუნველჰყოს მათთვის ხელშეკრულებების დადება.

4. დაევალოს ამიერკავკასიის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს, აშხ. იაშვილის პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყოს, არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა, ყამირგზების საზიდავ გზებად გადაქცევა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შემდეგ გზებს: ყამარლო-გინდარხი, აღდამ-გინდარხი, განჯა-ძეგამ-თაუზ-ყაზახი, ლაკი-აღდამ-პუშკინო, უჯარა-გეოქჩაი, სალიანი-პუშკინო-ბელასუგარი.

5. მიენდოს აშხ. იაშვილს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, გამოსძენოს საბამზე რაიონებში გზებზე ხიდების გადებისათვის საჭირო რაოდენობის საშენი ხე-ტყის მასალა.

6. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, მათი თავმჯდომარეების პასუხისმგებლობით, დაამთავრონ, არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რემონტი.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს—გაითვალისწინოს თავის, 1922 წლის, საკონტროლო ციფრებში—ამიერკავკასიის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით—საბამზე რაიონებში საგზაო სამუშაოების დასაფინანსებლად საჭირო თანხები.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს—უზრუნველჰყოს თავის, 1932 წლის, საკონტროლო ციფრებში აღნიშნული მშენებლობა მასალით, საგზაო ინსტრუმენტებით, სატენიკო კადრებით და მუშა-ძალით.

9. მიღებულ იქნეს ცნობად ამხ. ფარაჯ-ზადეს განცხადება, რომ ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტმა გამოჰყო ალაზნის საბჭოთა მეურნეობის საგზაო მშენებლობისათვის 100 ტრაქტორი.

10. ა/წ. აგვისტოს 19-ს მოსმენილ იქნეს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტისა და ამიერკავკასიის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მოხსენება ბამბის გადაზიდვისათვის მზამყოფობის შესახებ.

აღსრულების შემოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

აღსრულების შემოწმებელი კომისიის
მდივანი თ. მელნიკოვი.

1931 წ. ივლისის 29.

№ 21.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 215 №-ში 1921 წ. აგვისტოს 7-ს.